




Manager Portal

სახელმძღვანელო

დამწყებთა გზამკვლევი

შეკვეთების აპლიკაცია და Manager Portal


შეკვეთების აპლიკაცია
<https://partners.glovoapp.com>



ოპერატორები

- ყოველდღიური ამოცანები
- შეკვეთებისა და პროდუქტების მართვა ობიექტზე (ხელმისაწვდომობისა და ფასების ფარგლებში)

Manager Portal
<https://managers.glovoapp.com>



მენეჯერები

- ბიზნესის ნარმატებაზე პასუხისმგებლობა (ეფექტიანობის მაჩვენებლების ცოდნა)
- კონტენტის შეთავაზებათა შექმნა და მუდმივი განახლება
- ბიზნესის შემდგომი განვითარება



მოგესალმებათ **Glovo!**

მოხარული ვართ, რომ შემოგვიერთდით. წინამდებარე გზამკვლევში **სრულად არის ნარმოდგენილი ინფორმაცია**, რომელიც დაგეხმარებათ, გადადგათ პირველი ნაბიჯები და მიაღწიოთ წარმატებას პარტნიორის რანგში.

გმადლობთ ნდობისთვის!

Glovo-ს გუნდი

01 მენეჯერის ანგარიშის შექმნა.....04

02 Manager Portal-ზე წვდომა.....06

03 Menu Manager-ის შესწავლა.....08

04 მენიუს გაუმჯობესება.....11

05 ეფექტიანობის შედეგები.....13

06 ჩვენთან დაკავშირება.....15

07 პარტნიორთა ვებსაიტი.....17

01 შვექმნა

მენეჯერის ანგარიშის შექმნა

⚠️ ყურადღება!

თუ პირველად შედიხართ **Manager Portal**-ზე, დაგჭირდებათ **შეკვეთების აპლიკაციის ავტორიზაციის მონაცემების** (ელფოსტის მისამართისა და პაროლის) გამოყენება.

სისტემაში შესვლის შემდეგ **ამოხტება ფანჯარა**, რომელიც **მენეჯერის ანგარიშის შექმნას** შემოგთავაზებთ!

ელფოსტის არჩევა

✉ ვარიანტი 01

თუ კომპანიის ან ინვოისების გამონერისთვის განკუთვნილ იმ ელფოსტის მისამართს აირჩევთ, რომელიც განეწვერიანების პროცესში მოგვანოდეთ:

- დაანკაპუნეთ ელნერილში მოცემულ ბმულზე და დაადასტურეთ ელფოსტის მისამართი — ამისთვის დაანკაპუნებით აირჩიეთ **„მონაცემების დაყენება“**.
- განსაზღვრეთ თქვენი პაროლი და PIN-კოდი

✉ ვარიანტი 02

თუ ოპერატორის იმ ელფოსტის მისამართს აირჩევთ, რომელიც განეწვერიანების პროცესში მოგვანოდეთ:

- უბრალოდ, დაანკაპუნეთ ელნერილში მოცემულ ბმულზე და დაადასტურეთ ელფოსტის მისამართი — ამისთვის დაანკაპუნებით აირჩიეთ **„ელფოსტის დადასტურება“**.

02 სვედომა

Manager Portal-ზე ნვდომა



2022 წლამდე, ჩვენი პარტნიორებისთვის ხელმისაწვდომი იყო ერთადერთი პლატფორმა — Glovo-ს პარტნიორებისთვის განკუთვნილი **შეკვეთების აპლიკაცია** (რომელიც ადრე ცნობილი იყო „პარტნიორის ვებ-აპლიკაციის“ სახელით).

Manager Portal ერთი სივრცეში უყრის თავს ბიზნესის მართვისა და განვითარების ძირითად ხელსაწყოებს: **მართვის პანელს, Menu Manager-ს, შეკვეთების ისტორიას, ინვოისებს** (*ხელმისაწვდომია შერჩეულ ქვეყნებში), პრომოაქციებს, ობიექტის პარამეტრებსა და მრავალ სხვა ფუნქციას, რომლებიც მომავალში გახდება ხელმისაწვდომი!

მალე შემოგთავაზებთ დამოუკიდებლად რეკლამირების ფუნქციას, ამიტომ ყურადღებით იყავით!

Menu Manager-ზე ნვდომისთვის გადადით მისამართზე managers.glovoapp.com და შედით Glovo-ს პარტნიორის ანგარიშის მონაცემებით.

Menu Manager-ზე ნვდომა შეგიძლიათ როგორც **მობილური მონაცემებიდან**, ისე **კომპიუტერიდან**.

შენიშვნა: თუ *Manager Portal* თქვენი ობიექტისთვის ამ ეტაპზე მიუწვდომელია და მენიუს განახლებაში დახმარება გჭირდებათ, გამოგვიგზავნეთ შეტყობინება — ამისთვის **შეკვეთების აპლიკაციის „პროფილის“** განყოფილებიდან დაწკაპუნებით აირჩიეთ **„დახმარება და რესურსები“**.

გახსოვდეთ, რომ მენიუში ცვლილებების შეტანა წინასწარ, **მინიმუმ 7 დღით ადრე** უნდა მოითხოვოთ.

03 შესწავლა

თქვენი მენიუს მართვა

და მისი მიმზიდველად ქცევა ახალი მომხმარებლებისთვის



სურათების დართვა კერძებს/პროდუქტებს ვიზუალურად გაცილებით მიმზიდველს ხდის მომხმარებლებისთვის. პროდუქტები, რომლებსაც დართული აქვს ფოტოები, როგორც წესი, იყიდება 3-ჯერ მეტი სიხშირით, ვიდრე პროდუქტები, რომლებიც წარმოდგენილია ფოტოს გარეშე.

გაეცანით [ამ მითითებებს](#) ხარისხიანი ფოტოების გადაღებასთან დაკავშირებით!



საუკეთესოდ გაყიდვადი პროდუქტებისთვის **სურათებისა და აღწერილობების დართვა** GLOVO-ზე თქვენი შეკვეთების რაოდენობის ზრდის **წინაპირობაა**. მომხმარებელი, პირველ რიგში, თქვენი ობიექტის საუკეთესოდ გაყიდვად პროდუქტებს ხედავს, ხოლო შესაბამისი სურათებისა და აღწერილობების არსებობა დაგეხმარებათ **გაყიდვის კუთხით თქვენი მაჩვენებლების გაუმჯობესებაში**.



მარტივად განაახლეთ თქვენი მენიუ!

- 1** შედით **Manager Portal**-ში — შეავსეთ ინფორმაცია GLOVO-ს პარტნიორის ანგარიშის მონაცემებით
- 2** გაეცანით თქვენს მენიუს **პროდუქტების განყოფილებაში** გადაადგილების მეშვეობით
- 3** **აირჩიეთ** კონკრეტული პროდუქტი, რომელსაც გსურთ, დაამატოთ ფოტოები
- 4** ამის შემდეგ გაიხსნება პანელი, რომლიდანაც შეძლებთ **თქვენი პროდუქტის რედაქტირებას**
- 5** **ატივრთეთ ფოტო** თქვენი ფოტოალბომიდან, ან **გადუღეთ ფოტო** თქვენს კერძს მომენტალურად — ამისთვის Menu Manager-ში დანკაპუნებით აირჩიეთ „**სურათის ატივრთვა**“
- 6** არ დაგავიწყდეთ, დაანკაპუნოთ „**ცვლილებების შენახვაზე**“

04

გაუმჯობესება

თქვენი ბრენდის პოპულარიზაცია და მეტი შეკვეთის მიღება

- 1 შედიით **Manager Portal**-ში და გადადიით „პრომოაქციების“ ჩანართზე.
- 2 აირჩიეთ შესაქმნელი პრომოაქციის ტიპი, შემდეგ კი დანკაპუნებით აირჩიეთ „პრომოაქციის შექმნა“.

დაგჭირდებათ შემდეგი ინფორმაციის მითითება:

- **ობიექტები**, რომლებთან დაკავშირებითაც გასურთ კამპანიის დაწყება.
- პრომოაქციის მოქმედების **თარიღები**.
გირჩევთ, ხანგრძლივობად აირჩიოთ 1 კვირა, თუმცა თქვენი გადასანწყვეტია.
- **საათები**, რომლებშიც გასურთ, პრომოაქცია გამოჩნდეს GLOVO-ს აპლიკაციაში (დღიური აქტიური საათები). თუ არ მიუთითებთ, პრომოაქცია იმოქმედებს, როცა ობიექტი ღიაა.
- ფასდაკლება %-ებში/მიტანის საფასური (დამოკიდებულია არჩეულ პრომოაქციაზე).
- მხოლოდ **მიტანასთან დაკავშირებული პრომოაქციებისთვის**: დაადგინეთ მინიმალური თანხა, რომელიც უნდა დახარჯოს მომხმარებელმა, პრომოაქციით რომ ისარგებლოს.
- **იხილეთ და მართეთ მოქმედი პრომოაქციები**, ასევე, გაეცანით პრომოაქციების სრულ ისტორიას (მათი ეფექტიანობის მონაცემებისა და პრომოაქციების მოქმედების პერიოდში მიღებული მთლიანი შემოსავლის ჩათვლით).
- სურვილისამებრ, შეგიძლიათ აამოქმედოთ პრომოაქცია მხოლოდ ახალი მომხმარებლებისთვის: ის გამოჩნდება მხოლოდ მათთვის, ვისაც თქვენი ობიექტიდან ჯერ არაფერი შეუძენია

პრომოაქციის დასრულების შემდეგ ელფოსტით მიიღებთ მისი ეფექტიანობის მონაცემებს.



05 ეფექტიანობა


თქვენი ობიექტ(ებ)ის ეფექტიანობის მონაცემების გაცნობა

„მართვის პანელიდან“ პარტნიორებს შეუძლიათ თავიანთი ბიზნესის ძირითადი მაჩვენებლების შემოწმება Manager Portal-ის მთავარ გვერდზე.

წვდომა შესაძლებელია: ობიექტის ID-ისა და ობიექტის მისამართის დონეზე (ყველა შესაძლო კომბინაცია)

ძირითადი სექციები:

- საერთო გაყიდვები და შეკვეთები
- ობიექტთან დაკავშირებული პრობლემები
- ოპერაციები
- მომხმარებლები
- რეიტინგი და შეფასებები
- პროდუქტებთან დაკავშირებული პრობლემები
- პროდუქტების ეფექტიანობა



06 ჩვენთან დაკავშირება


ჩვენთან დაკავშირება დახმარების საჭიროების შემთხვევაში

დაანკაპუნეთ ლილაკზე — დახმარება, **Manager Portal**-ის მარჯვენა მხარეს არსებულ მენიუში და აირჩიეთ **პირდაპირი არხი** GLOVO-ს მხარდაჭერასთან.

დახმარების განყოფილებიდან შეტყობინების გამოგზავნისთვის:

- 1** ახალი შეტყობინების შესაქმნელად, დაანკაპუნეთ ლილაკზე — შექმნა.
- 2** აირჩიეთ თქვენს პრობლემასთან დაკავშირებული საკითხი.
- 3** მონიშნეთ კონკრეტული ობიექტი, თუ ის რამდენიმე ადგილმდებარეობაზე გაქვთ.
- 4** დაწერეთ საკითხი და შეტყობინება, რომელშიც განმარტავთ პრობლემის შინაარსს.
- 5** მიამაგრეთ ისეთი დოკუმენტები, რომლებიც დაგვეხმარება პრობლემის დადგენაში.

შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, მხარდაჭერის გუნდი დაგიკავშირდებათ **Manager Portal**-ის მეშვეობით, მოთხოვნის გაგზავნიდან 12 საათის განმავლობაში.



07 პარტნიორობა ვებსაიტში

თუ დამატებითი ინფორმაცია გჭირდებათ, ენზეთ პარტნიორთა ვებსაიტს:



სახელმძღვანელოები და
რჩევები
შეკვეთების აპლიკაციისთვის

შეიტყვეთ, როგორ
გამოიყენოთ თქვენი
მონაცემები და მიიღოთ
შეკვეთები



დაანინაურეთ
თქვენი ობიექტი

შექმენით პრომოაქციები ან
თქვენი მენიუს ვირტუალური
ბრენდი



ხშირად დასმული შეკითხვები

როგორ უნდა:

- მიიღოთ და მიიტანოთ შეკვეთები
- იხილოთ შეკვეთების ისტორია
- მოაგვაროთ ზოგადი საკითხები

<https://sell.glovoapp.com>

გმადლობთ!